

ვენა, 24–25 ნოემბერი, 2018, სტეფანეს სახელობის დარბაზი, ვენის
სამთავარეპისკოპოსო

საერთაშორისო სიმპოზიუმის

„განათლება – ვისი პასუხისმგებლობაა? – ისტორიული, სამართლებრივი და
მსოფლმხედველობრივი ასპექტები“

მონაწილეთა დეკლარაცია (მიღებულია ერთხმად)

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მოქმედი მეცნიერთა გაერთიანების „პროფესორთა ფორუმის“, ევროპის მეცნიერებისა და ხელოვნების აკადემიის, ავსტრიის ქრისტიანული ინტერნაციონალური სოლიდარობის, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის უნივერსიტეტისა და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან არსებული ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრის თანამშრომლობით 2018 წლის 24-25 ნოემბერს ავსტრიის დედაქალაქ ვენაში ჩატარდა საერთაშორისო სიმპოზიუმი „განათლება – ვისი პასუხისმგებლობაა? – ისტორიული, სამართლებრივი და მსოფლმხედველობრივი ასპექტები“.

ჩვენ, სიმპოზიუმის მონაწილეებმა ვცადეთ გამოგვეჩვენა ის კულტურული ფასეულობანი, რომელიც აერთიანებს დასავლეთსა და აღმოსავლეთს.

ჩვენ ერთობლივად მივმართავთ ქრისტიანული ტრადიციების მქონე ქვეყნების ხელისუფლებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს.

სიმპოზიუმის მონაწილეებს გვაერთიანებს საერთო იდეა, რომლის თანახმად განათლების პროცესის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა მსოფლმხედველობრივი საფუძვლების შემუშავებაში მდგომარეობს. განათლება უნდა გვაწვდიდეს ორიენტირებს, რომლებიც გარემომცველი სამყაროს, ჩვენი კულტურული, სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და ა. შ. ყოფის სწორ ფასეულობით შეფასებასა და ჩვენი პიროვნული აქტების ეგზისტენციალური, მორალური საზრისის პოვნაში დაგვეხმარება.

მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან სეკულარულმა საზოგადოებამ დაიწყო რელიგიური ფასეულობებისა და რელიგიური განათლების საჯარო სივრციდან განდევნა. განათლების სეკულარული კონცეფცია ეფუძნება იმ მოსაზრებას, რომ ადამიანის გონებას ძალუმს სამყაროში არსებული ყველა საიდუმლოს ამოხსნა, და შესაბამისად, საზოგადოებაში არსებული ნებისმიერი პრობლემის მოგვარება.

სეკულარული მეცნიერების კომპეტენციას სცილდება ღმერთის არსებობის, სულის უკვდავების, ყოველი ცალკეული ადამიანის უმაღლესი საზრისის საკითხები. ამ კითხვებზე პასუხის ლეგიტიმურობა სეკულარული კონცეფციის მიერ ეჭვის ქვეშ არის დაყენებული, თუმცა ამავე დროს იგი გვთავაზობს საკუთარ ხედვას სამყაროსა და ადამიანის წარმოშობისა და რაობის შესახებ. ამგვარი რწმენა მეცნიერებისადმი სცილდება მის ფარგლებს და პრაქტიკულად, ახალ მსოფლმხედველობრივ პარადიგმად გვევლინება.

ეს კონცეფცია ევროპული ქვეყნების მიერ სეკულარიზმის გავლენით აღიარებულია როგორც მსოფლმხედველობრივად ნეიტრალური და საფუძვლად უდევს თანამედროვე განათლების სისტემას. რადიკალურ სეკულარულ იდეოლოგიაზე დაფუძნებული პრინციპები ეწინააღმდეგება კლასიკურ დემოკრატიას, რადგან ეს უკანასკნელი საზოგადოების ყველა წევრის, მათ შორის მორწმუნეების კანონიერი ინტერესებისა და უფლებების დაცვის ინსტიტუციურ და რეალურ გარანტიებს გულისხმობს.

„ბავშვის უფლებების კონვენციაში“ (მუხლი 29, პუნქტი გ., გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, 1989 წლის 20 ნოემბერი) ხაზგასმულია ბავშვში კულტურული იდენტობისა და ღირებულებების აღზრდა. ადამიანის ამ უფლებას განათლების სფეროში უხეშად არღვევს რადიკალური სეკულარული იდეოლოგია, რადგანაც იგი შემეცნების პროცესში უარყოფს ფასეულობით ვექტორს.

რადიკალურმა სეკულარიზმმა წარმოშვა დაპირისპირება და პოლარიზაცია საზოგადოებაში, ხელი შეუწყო ანტირელიგიურ რადიკალიზმსა და რელიგიურ ფუნდამენტალიზმს.

დემოკრატიული სახელმწიფოების მიერ დეკლარირებული მსოფლმხედველობრივი ნეიტრალიტეტი ავალდებულებს პოლიტიკოსებს დაიცვან განათლების სისტემა ცალმხრივი სეკულარიზმის გავლენისგან და ამით შექმნან ჯანსაღი ნიადაგი რელიგიურ და არარელიგიურ საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის დიალოგისა და თანამშრომლობისათვის.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ განათლების სისტემამ უნდა შეიმუშავოს ისეთი პრინციპები, რომლებიც ნებისმიერ მსურველს მისცემს საშუალებას ეზიაროს ტრადიციულ რელიგიურ ფასეულობებს და შეაჩერებს მსოფლმხედველობრივი სეკულარიზმის ყოვლისმომცველ და გაუმართლებლად გაბატონებულ პოზიციას.

თუ სოციალურ-კულტურულ კონტექსტში საქმე გვაქვს კულტურულ მემსიერებასთან, საკრალურ განზომილებაში ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ ეკლესიურ მემსიერებაზე. ეს უკანასკნელი ქრისტიანული ცივილიზაციის ქვეყნებში დიდწილად ასახავს მჭიდრო კავშირს ერის/ქვეყნის მიერ შექმნილ საკუთარი წარსულის სურათსა და ნაციონალურ იდენტობას შორის.

მოსამებნია ღირებულებათა ისეთი ერთობლიობა, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება მიმდინარე მოვლენების მეტნაკლებად მთელი საზოგადოებისთვის მისაღები განმარტება და გააზრება. ეს ძიებები სახელმწიფოსაგან ავტონომიურად უნდა მიმდინარეობდეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებებში, უპირველესად უნივერსიტეტებსა და მუზეუმებში.

თანამედროვე საზოგადოების უპირველესი პასუხისმგებლობაა „ბავშვის უფლებების კონვენციის" შესაბამისად მოსთხოვოს სახელმწიფოს განათლების სისტემაში არსებული ხარვეზის გამოსწორება, რათა ქვეყნის ინტელექტუალურ სივრცეში დაუბრკოლებლად იქნას ასახული ყველა ხალხის ტრადიციული და კულტურული ღირებულებები.

გამოვთქვამთ იმედს, რომ ქრისტიანულ ქვეყნებში მცხოვრები ტრადიციული ფასეულობების მქონე საზოგადოების სოლიდარობა გამოიღებს კეთილ ნაყოფს და ხელს შეუწყობს სამოქალაქო მშვიდობასა და კეთილდღეობას.
